



## საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

### ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ცვლილებები, რომელთა მიზანია მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის ახლებურად დარეგულირება, 2017 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდება:

ცვლილებების შესაბამისად, მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტები იქნებიან:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

**თარიღი**  
**მაისი 2016**

ამ თვის გამოცემაში შეგიძლიათ იხილოთ:

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

შესაძლო ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ კანონში

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

## თბილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

2016 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის #185-ე დადგებილება, რომლითაც დამტკიცდა თბილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს ექსპორტისათვის განკუთვნილი თბილის რეგულირების პრინციპების განსაზღვრას. რეგლამენტი ადგენს გარკვეულ მოთხოვნებს რეგულირებული ობიექტის უვნებლობის, შეფუთვისა და ეტიკეტირებისადმი, ბიზნესოპერატორის მიმართ ჰიგიენის მოთხოვნებს და შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს.

ექსპორტისათვის განკუთვნილი რეგულირებული ობიექტის ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და დეკლარირებულ სტანდარტთან შესაბამისობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო შიდა საწარმო კონტროლის დროს შესაბამისობის შეფასებას ახდენს ბიზნესოპერატორი.

## შესაძლო ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში

„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს ეროვნულ ბანკსა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს შორის საზედამხედველო ჩარჩოს მკვეთრი გამოიჯანა, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზირებულ დეპოზიტორთან მიმართებაში.

## მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2015 წლის 23 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა ხელშეკრულების ბუნდოვანი დებულებების განმარტებასთან დაკავშირებით ( საქმე # ას-1144-1090 -2014).

სადაო საკითხს წარმოადგენდა მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო ქირისა და პირგასამტებლოს დაკისრება, სადაც სასამართლო დავის განხილვის დროს დადგინდა ხელშეკრულების პირობების განმარტების აუცილებლობა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 334-ე და 338-ე მუხლებით და განმარტა, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სპეციფიკა განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათაგანს მიეცეს მნიშვნელობა და არც ერთ მათაგანს არ უნდა წაერთვეს მნიშვნელობა. ხელშეკრულების განმარტების საფუძვლებთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების (დებულებების) 5:101 – 5:107 მუხლების დანაწესები, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებათა განმარტების საკითხს აწესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხაველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამებს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

#### გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

#### გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

[Home](#) | [Security](#) | [Legal](#) | [Privacy](#)



ლ. ასათიანის ქ. 36ა  
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც "Deloitte Global") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about). დელოიტის საქართველოს ოფისის იურიდიული სტრუქტურის დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ <http://www2.deloitte.com/ge/ka/pages/about-deloitte/articles/about-deloitte.html>.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, Deloitte Touche Tohmatsu Limited-ი, მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (რომელთა ერთობლიობა შეადგენს „დელოიტის ქსელს“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებენ პასუხისმგებლობას პროფესიონალური მომსახურების მიწოდებაზე. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.